ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №56

28.02.2020 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

14:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: გიორგი დოხტურიშვილი (კომისიის თავმჯდომარე), გიორგი ტყემალაძე, ლევან ჯაფარიძე, ერეკლე კუხიანიძე, ლევან ჟორჟოლიანი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. **რევაზ სოხაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. **ბექა დავითულიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. **დავით უთმელიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. **დავით ჭელიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. **ვახტანგ შაქარიშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
6. **თევდორე ისაკაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. **გიგა გიგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. **გიორგი ებანოიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი;
3. **ჯუმბერ ყანდარელი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
4. **ქვარა ჩართოლანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

სხდომის გახსნამდე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა და ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ბ-ნმა რევაზ სოხაძემ დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და აცნობა, რომ მიმდინარე სხდომა წარიმართება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის სრული დაცვით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების მუხლი 30) გარემოს დაცვის, ასევე, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების ერთობლივი სხდომის ფორმატში.

გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა: გიორგი დოხტურიშვილი (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი გიორგი დოხტურიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსების ან/და რეალიზაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 27 თებერვლის №12-032005823-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: გიგა გიგაშვილი** -ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი/

2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 21 თებერვლის №12-0320052153-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი/

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 21 თებერვლის №12-0320052157-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი/

4. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის

მერის კ. კალაძის 2020 წლის 27 თებერვლის №12-03200582-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი/

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - „მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსების ან/და რეალიზაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 27 თებერვლის №12-032005823-03 წერილი)

განსახილველად წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, სხდომის თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი დოხტურიშვილმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი წესის მიღება დედაქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია. დღევანდელ სხდომაზე წესის მიღება მის ავტომატურ ამოქმედებას არ გულისხმობს და გათვალისწინებული შეზღუდვების ამოქმედებამდე, წესში მითითებული საქმიანობით დაკავებულ პირებს მიეცემათ დრო და შესაძლებლობა, საკუთარი საქმიანობა მოიყვანონ წესთან შესაბამისობაში.

დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა გ. გიგაშვილმა.

მომხსენებლის (გ. გიგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, პროექტის მიხედვით:

- მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსება ან/და რეალიზაცია აიკრძალება გარკვეულ ფუნქციურ ზონებში და შეზღუდვით ზონებში, ფენებსა და კონტურებში.
- ამტვერებადი მასალის განთავსება ან/და რეალიზაცია დასაშვები იქნება მხოლოდ შენობა-ნაგებობებში, რომელიც ქმნის გადახურულ სივრცეს, შემოსაზღვრულია კედლებით, კოლონებით ან/და სხვა შემომზღუდავი კონსტრუქციებით და გრუნტი დაფარულია ისეთი მყარი მასალით, რომელიც გამორიცხავს ამტვერებადი მასალის ნიადაგში მოხვედრას.

- ადვილად აალებადი და ფეთქებადი ნივთიერებების განთავსება ან/და რეალიზაცია დასაშვები იქნება მხოლოდ იმ შენობაში ან ნაგებობაში, რომელიც დააკმაყოფილებს „ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებით განსაზღვრულ დიდი საფრთხის შემცველი ჯგუფებისთვის დადგენილ პირობებსა და მოთხოვნებს.

- მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონის ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებების და მათი ნაწილების განთავსება ან/და რეალიზაცია დასაშვებია იმ შენობაში ან ნაგებობაში ან იმ ტერიტორიაზე, რომელიც შემოსაზღვრულია კედლებით, კოლონებით ან/და სხვა შემომზღუდავი კონსტრუქციებით და სადაც გრუნტი დაფარულია ისეთი მყარი მასალით, რომელიც გამორიცხავს აღნიშნული მასალის ან მისგან გამოჟონილი ნივთიერების ნიადაგში მოხვედრას (ასევე შესაძლებელია იყოს გადახურული სივრცეც).

ბატონმა გიგა გიგაშვილმა აღნიშნა, რომ წესი ეფუძნება ორ ძირითად პრინციპს. პირველი პრინციპი ითვალისწინებს იმ ტერიტორიების განსაზღვრას, სადაც დაუშვებელია ადვილად აალებადი და ფეთქებადი ნივთიერებების განთავსება ან/და რეალიზაცია და, მეორე პრინციპი - იმ ზონების განსაზღვრას, სადაც შესაძლებელია აღნიშნული საქმიანობის განხორციელება. ასევე მეორე პრინციპი მოიცავს იმ პირობებსა და მოთხოვნებს, რომელიც შეეხება მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონის ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებების და მათი ნაწილების რეალიზებას.

მომხსენებლის (გ. გიგაშვილი) მიერ ინფორმაციის წარდგენის შემდეგ, **შეკითხვა დასვა:**

ბ-ნმა გ. დოხტურიშვილმა, წესის მიღების თაობაზე ინფორმაციის იმ სუბიექტებამდე მიტანის საკითხის შესახებ, რომლებიც ახორციელებენ წესით გათვალისწინებულ საქმიანობას.

ბატონმა გიორგი დოხტურიშვილმა აღნიშნა, რომ წესის მიღება ძალიან მნიშვნელოვანია დედაქალაქისთვის, მაგრამ საჭიროა მისი საზოგადოებამდე სწორად და დროულად მიტანა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინფორმაციის შესაბამის მეწარმე-სუბიექტებამდე მიტანის მიზნით, გარდა მედია-საშუალებებისა, დამატებით კიდევ რა საშუალებები შეიძლება იქნას გამოყენებული და ამ მიზნით ხომ არ აჯობებს რაიონული გამგეობებისა და საუბნო განყოფილებების ჩართვა.

დასმულ შეკითხვას პასუხი გასცა ბ-ნმა გ. გიგაშვილმა, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას აცნობა, რომ ქალაქ თბილისის მერმა, ბატონმა კ. კალაძემ თბილისის მთავრობის სხდომაზე დავალებით მიმართა ვიცე-მერს, რათა წესის მიღების შემდეგ, ინფორმაციის საზოგადოებამდე მისატანად ყველა საშუალება იქნას გამოყენებული.

შესაბამისად, გამოყენებული იქნება როგორც მასმედიის საშუალებები, სოციალური ქსელები, ასევე რაიონული გამგეობების რესურსი და პირადი კონტაქტები.

შეკითხვა დასვა:

ბ-ნმა რ. სოხაძემ, რომელიც დაინტერესდა წესით დარეგულირებული ნარჩენების უტილიზაციისა და მეორეული საბურავების გადამუშავების საკითხით.

ბ-ნი გ. გიგაშვილის განმარტებით, სახელმწიფო ან მუნიციპალური დაწესებულებები არ ახდენენ აღნიშნული მასალის უტილიზაცია/გადამუშავებას, თუმცა შექმნილია რამდენიმე მსხვილი საწარმო, რომელიც სხვადასხვა პროდუქტის მისაღებად იყენებს მეორეულ საბურავებს. ძირითადად, მეორეული საბურავები გამოიყენება ასფალტის წარმოებაში.

ბ-ნმა გ. გიგაშვილმა დამატებით აღნიშნა, რომ ნარჩენების მართვის ასოციაციაში გაერთიანებულია რამდენიმე მსხვილი საწარმო, რომელიც იბარებს და შემდეგ გადაამუშავებს მეორეულ საბურავებს.

შეკითხვა დასვა:

ბ-ნმა დ. უთმელიძემ - მეორეული საბურავების გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტის შესახებ.

ბ-ნი გ. გიგაშვილის განმარტებით, მეორეული საბურავების გადამუშავების შედეგად მიიღება კაუჩუკი სტადიონების ხელოვნური საფარისთვის, რეზინა, ასევე, იგი გამოიყენება ასფალტის წარმოებაშიც.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ სხვა შეკითხვები არ დასმულა, განსხვავებული აზრი და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 27 თებერვლის **№12-032005823-03 წერილით** წარმოდგენილი „მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსების ან/და რეალიზაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

დადებითად შეფასდეს და რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2020 27 თებერვლის **№12-032005823-03 წერილით** წარმოდგენილი „მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსების ან/და რეალიზაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეორე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 21 თებერვლის №12-0320052153-03 წერილი)

დღის წესრიგის მეორე საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა ჯ. ყანდარელმა.

მომხსენებლის (ჯ. ყანდარელი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 19 თებერვლის №20.170.238 განკარგულებით და დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის), ასევე, განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 6 წინადადება - №0119206587-67, №0119322346-67, №01193032091-67, №01193293000-67, №01200171965-67, №01200414406-67).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - **№0119206587-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, მუხიანის I მ/რ, 175-ე საბავშვო ბაღის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: №01.11.13.002.241-ის მიმდებარედ) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6)

სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება. აღნიშნული ცვლილება ხორციელდება №01.11.13.002.241 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთამდე მისასვლელი გზის მოწყობის მიზნით. მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილებასთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის, ასევე გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურები აფიქსირებენ დადებით პოზიციას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2020 წლის 23 იანვრის №16-01200231279 წერილით შეთანხმებულია ტრანსპორტის მოძრაობის სქემა (შესაბამის სამსახურთან საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა).

- განმარტებითი ბარათის „ბ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№0119322346-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, წულუკიძის ქუჩა №6-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.10.012.146) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილება.

დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გეგმის მიხედვით მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.10.012.146) ვრცელდებოდა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1).

- განმარტებითი ბარათის „გ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - **№01193032091-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, დავით სარაჯიშვილის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.025.263) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება. სატრანსპორტო ზონა გადასულია (შეჭრილია) კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობაზე. ასევე, გზის ლოკალური კონტურის შეკვრისა და არსებული ხარვეზის გასწორების მიზნით, ფუნქციური ზონის ცვლილებას ექვემდებარება მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი სივრცეც, რათა არსებული სატრანსპორტო ზონის მდგომარეობა დაფიქსირდეს ზონირების მეშვეობით.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ 2019 წლის 11 ნოემბრის №01193151076 წერილის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ფუნქციური ზონის ცვლილების წინააღმდეგი არ არის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, დავით სარაჯიშვილის ქუჩაზე მდებარე №01.72.14.025.263 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1), ასევე, მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, გზის ლოკალური კონტურის შეკვრის მიზნით, საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზინა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „დ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - **№01193293000-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ ფონიჭალაში, იაკობ ცურტაველის №48ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: №81.05.03.973-ის მიმდებარედ) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 4 დეკემბრის №0119338338 წერილის თანახმად, ვინაიდან აღნიშნულ მონაკვეთზე ფაქტობრივი მდგომარეობით განთავსებულია შენობა და მას არ გააჩნია გზის ფუნქცია, ტრანსპორტის საქალაქო სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მიწის ნაკვეთის აღნიშნულ ნაწილზე სატრანსპორტო ზონის გაუქმების წინააღმდეგი არ არის. გარდა ამისა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ინიციატივით, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება ხორციელდება №81.05.15.027-ის მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ სივრცეზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ ფონიჭალაში, იაკობ ცურტაველის №48ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: №81.05.03.973 და №81.05.15.027-ის მიმდებარედ) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ე“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი) - **№01200171965-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორიასთან არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.006.976) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა და ძირითადი რუკით განსაზღვრული სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) გავრცელება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, 2020 წლის 23 იანვრის №01200232967 წერილის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური დადებით პოზიციას აფიქსირებს.

- განმარტებითი ბარათის „ვ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-6 პუნქტი) - **№01200414406-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №72.16.23.564, 72.16.23.693, №72.16.23.694, №72.16.23.736) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. აღნიშნულ საკადასტრო ერთეულებზე „ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №72.16.23.564, №72.16.23.565, №72.16.23.566, №72.16.23.692, 72.16.23.693, №72.16.23.694, №72.16.23.736, №72.16.23.737) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №9 განკარგულება

ადგენს ფუნქციურ ზონებს და მისი განვითარების სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმა, მოთხოვნილი სახით, ფუნქციური ზონის ცვლილებას ითვალისწინებს №72.16.23.564, №72.16.23.736 და 72.16.23.693 საკადასტრო ერთეულებზე.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, №0119206587-67, №0119322346-67, №01193032091-67, №01193293000-67, №01200171965-67, №01200414406-67 **განცხადებებთან (სულ: 6 განცხადება) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.**

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 21 თებერვლის **№11-0320052153-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 6 წინადადება - №0119206587-67, №0119322346-67, №01193032091-67, №01193293000-67, №01200171965-67, №01200414406-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

დადებითად შეფასდეს და რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 21 თებერვლის **№11-0320052153-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 6 წინადადება - №0119206587-67, №0119322346-67, №01193032091-67, №01193293000-67, №01200171965-67, №01200414406-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მესამე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 21 თებერვლის №12-0320052157-03 წერილი)

დღის წესრიგის მესამე საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა ჯ. ყანდარელმა.

მომხსენებლის (ჯ. ყანდარელი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების დანართი №2-ის შესაბამისად, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა არის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს დასახლებათა ტერიტორიების გამოყენების (მიწათსარგებლობის) და განაშენიანების ძირითად პარამეტრებს, კეთილმოწყობის, გარემოსა და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სივრცით-ტერიტორიულ პირობებს, სატრანსპორტო, საინჟინრო და სოციალური ინფრასტრუქტურის, ასევე ეკონომიკური განვითარების სივრცით ასპექტებს და განსახლების ტერიტორიულ საკითხებს. მიუხედავად იმისა, რომ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა ქალაქის საუკეთესო ინტერესების დაცვას ემსახურება, მიღებული გადაწყვეტილებით, რიგ შემთხვევაში, იზღუდება ცალკეული მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა უფლებები სამშენებლო პირობების გაუარესების თვალსაზრისით.

კერძო და საჯარო ინტერესების გაწონასწორების პრინციპის გათვალისწინებით, მუნიციპალური სახსრების რაციონალური გამოყენების მიზნიდან გამომდინარე, ზონის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლება შესაძლებელია აღდგენილ იქნას სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემით ან მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანის გზით, შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 19 თებერვლის №20.188.234 განკარგულებით და დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის), ასევე, განმარტებითი ბარათის სახით წარმოდგენილია 6 წინადადება - №01200102661-67, №01200173144-67, №01200213204-67, №01193401-67, №01200203160-67, №01193541758-67.

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - **№01200102661-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მეურნეობის დასახლება, რუსთაველის ქუჩა №5-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.08.28.143) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება.

აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30

დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2).

სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილების თაობაზე წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მირ 2020 წლის 3 თებერვლის №18-01200342019 წერილით დაფიქსირდა დადებითი პოზიცია.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, სხდომის თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი დოხტურიშვილმა აღნიშნა, რომ №81.08.28.143 საკადასტრო მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილება ხდება აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე არსებული საბავშვო ბაღის რეკონსტრუქცია-მშენებლობის მიზნით, რაც ძალიან კარგი საქმეა და ასეთი ცვლილებები მისასალმებელია.

ასევე, სხდომაზე დამატებით აღინიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 19 თებერვლის №20.188.234 განკარგულებაში (პუნქტი „ა") №81.08.28.143 საკადასტრო მიწის ნაკვეთის მისამართის მითითებისას დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, №81.08.28.143 საკადასტრო მიწის ნაკვეთის მისამართად დაფიქსირებულია ქალაქ თბილისი, ვარკეთილის მეურნეობის დასახლება, რუსთაველის ქუჩა №5, ხოლო საჯარო რეესტრის 2010 წლის 21 იანვრის ამონაწერის თანახმად, №81.08.28.143 საკადასტრო მიწის ნაკვეთის მისამართია: ქალაქი თბილისი, დიდი ლილო, ვარკეთილის მეურნეობის დასახლება, რუსთაველის ქუჩა №18.

- განმარტებითი ბარათის „ბ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№01200173144-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.02.39.031) მოთხოვნილია სასოფლო-სამეურნეო ზონის (სფზ) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება.

აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1).

გარდა ამისა, საპროექტო ტერიტორიის მომიჯნავედ ფიქსირდება დაბალი ინტენსივობის განაშენიანება. ასევე, ტერიტორია უზრუნველყოფილია სატრანსპორტო გზით.

- განმარტებითი ბარათის „გ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - **№01200213204-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, აბაშიძის ქუჩა №25-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.11.017.010) ნაწილზე მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება.

აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6).

- განმარტებითი ბარათის „დ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - **№01193401-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, კვანტალიანის ქ. №110ა, №108-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.10.012.182) ნაწილზე მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება.

აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა (სზ).

აღნიშნულთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 30 იანვრის №01200301583 წერილის თანახმად, ვინაიდან საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს კერძო საკუთრებას და ფაქტობრივი მდგომარეობით მასზე განთავსებულია საცხოვრებელი სახლები, სამსახური თანახმაა წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ფენა.

- განმარტებითი ბარათის „ე“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი) - **№01200203160-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, მარუხის გმირების ქუჩა №9/ქალაქი თბილისი, მარუხის გმირების ქუჩა №9-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.14.11.058.031, №01.14.11.058.072) მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, №01.14.11.058.031, №01.14.11.058.072 საკადასტრო მიწის ნაკვეთებზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3).

აღნიშნულთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 28 იანვრის №01200283979 წერილის თანახმად, სამსახური თანახმაა №01.14.11.058.031 მიწის ნაკვეთის ნაწილზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ფუნქციური ზონა. ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ №01.14.11.058.072 საკადასტრო მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილებასთან დაკავშირებით სამსახურმა დააფიქსირა უარყოფითი პოზიცია.

ასევე, საპროექტო ტერიტორიის (საკადასტრო კოდი: №01.14.11.058.031) მცირე ნაწილზე ვრცელდება სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1), რომელიც წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანდართული გრაფიკული ნაწილის - რუკის ხარვეზს. შესაბამისად, ქალაქ თბილისის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ინიციატივით ხორციელდება აღნიშნული ხარვეზის გასწორება და №01.14.11.058.031 საკადასტრო ერთეულზე არსებული სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, მარუხის გმირების ქუჩა №9/ქალაქი თბილისი, მარუხის გმირების ქუჩა №9-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.11.058.031) ნაწილზე სატყეო ზონისა და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება მისაღებია (ცვლილების ფართობი: 56 კვ.მ.)

- განმარტებითი ბარათის „ვ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-6 პუნქტი) - **№01193541758-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელი ფონიჭალა №65-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.05.02.138) მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 2-ით (ს-2) ცვლილება.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, №81.05.02.138 საკადასტრო მიწის ნაკვეთის ძირითად ნაწილზე ვრცელდებოდა სამრეწველო ზონა 2 (ს-2), ხოლო მცირე ნაწილზე - საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2020 წლის 6 თებერვლის №18-01200372522 წერილით თანახმაა წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული შიდაკვარტალური გამწვანების ფენა.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, №01200102661-67, №01200173144-67, №01200213204-67, №01193401-67, №01200203160-67, №01193541758-67 განცხადებებთან (სულ: 6 განაცხადი) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, სხვა შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 21 თებერვლის **№12-0320052157-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 6 წინადადება - (№01200102661-67, №01200173144-67, №01200213204-67, №01193401-67, №01200203160-67, №01193541758-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

დადებითად შეფასდეს და რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 21 თებერვლის **№12-0320052157-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 6 წინადადება - (№01200102661-67, №01200173144-67, №01200213204-67, №01193401-67, №01200203160-67, №01193541758-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეოთხე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 27 თებერვლის №12-03200582-03 წერილი)

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა ჯ. ყანდარელმა.

მომხსენებლის (ჯ. ყანდარელი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 26 თებერვლის №20.221.265 განკარგულებით და დადგენილების პროექტის

თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის), ასევე, განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 1 წინადადება - №01200494190-67).

განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - **№01200494190-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის I ჩიხი, №2,4,6-ში არსებულ №01.14.14.012.055 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ, დაურეგისტრირებელ ტერიტორიზე მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 21 თებერვლის №01200523953 წერილის თანახმად, რამდენადაც მოცემულ მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონის გავრცელება განპირობებულია მიმდებარე საკადასტრო ერთეულებზე სატრანსპორტო წვდომის უზრუნველსაყოფად, სამსახური თანახმაა განხორციელდეს მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილება.

დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანდართული გრაფიკული ნაწილის - რუკის ხარვეზის გასწორებისა და ლოგიკური ბმის განხორციელების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ინიციატივით, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ დაურეგისტრირებელ არეალზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) იცვლება საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6). შესაბამისად, ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის I ჩიხი, №2,4,6-ში არსებულ №01.14.14.012.055 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ, დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება, ასევე, საპროექტო მიწის ნაკვეთის მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება მისაღებია.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, №01200494190-67 განცხადებასთან (სულ: 1 განაცხადი) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 27 თებერვლის **№12-03200582-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 1 წინადადება -

№01200494190-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

დადებითად შეფასდეს და რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 27 თებერვლის **№12-03200582-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 1 წინადადება - №01200494190-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:  გიორგი დოხტურიშვილი